სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

წლიური გამოცემა

NEWSLETTER 2017

www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

www.procurement.gov.ge

E NEWSLETTER

2017 წლიური გამოცემა

2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად ეფექტიანად, სამართლიანად და გამჭვირვალედ დახარჯული საჯარო სახსრები

	GEL	%
ელექტრონული შესყიდვების ხელშეკრულების ჯამური ღირებულება	2 763 441 150	76
გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულების ჯამური ღირებულება	881 201 144	24
ჯამი:	3 644 642 294	

	GEL	%
კონსოლიდირებული შესყიდვების ჯამური თანხები	197 787 464	5,10
ელექტრონული ტენდერები – ჯამური სახელშეკრულებო თანხები (GEO-DEP პროცედურების გამოკლებით)	2 565 653 686	66,19
GEO–პროცედურის ჯამური სახელშეკრულებო თანხები	61 432 089	1,58
DEP–პროცედურის ჯამური სახელშეკრულებო თანხები	170 155 995	4,39
გამარტივებული შესყიდვების ჯამური თანხები	881 201 144	22,73
ჯამი:	**3 876 230 378**	

	GEL	%
კონსოლიდირებული შესყიდვების ჯამური თანხები	197 787 464	5,43
ელექტრონული ტენდერები – ჯამური სახელშეკრულებო თანხები (GEO-DEP პროცედურების გამოკლებით)	2 565 653 686	70,40
გამარტივებული შესყიდვების ჯამური თანხები	881 201 144	24,18
ჯამი:	**3 644 642 294**	

	GEL
მთლიანი შიდა პროდუქტი (საპროგნოზო მაჩვენებელი)	35 980 000 000
2017 წლის ბიუჯეტი (გეგმა)	11 487 175 000

	%
სახელმწიფო შესყიდვების მშპ-სთან მიმართებაში პროცენტი	11
სახელმწიფო შესყიდვების ბიუჯეტთან მიმართებაში პროცენტი	34

სააგენტო აგრძელებს პერმანენტულ კონტროლს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტი პერმანენტულად ახორციელებს მონიტორინგს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. რისთვისაც ძირითადში ეყრდნობა **eProcurement** სისტემის ავტომატურ შეტყობინებებს, რაც შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალურად იქნას გამოვლენილი ყველა არამართლზომიერი ქმედება.

მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გასულ წელს **დამუშავდა აღნიშნული ავტომატური შეტყობინებების სისტემის მეშვეობით გამოფილტრული 17,000-ზე მეტი ტენდერი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 40,000-ზე მეტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.** გამოვლენილ დარღვევებზე **შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 2,000-მდე წერილობითი შეტყობინება**, რომელთა მიმართებაშიც სააგენტო ძირითადად შემოიფარგლა რეკომენდაციით.

ამასთან, განხორციელებული მონიტორინგის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელება მნიშვნელოვანი წინაპირობაა როგორც საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვისათვის, ასევე სისტემის გამჭვირვალედ და გამართულად ფუნქციონირებისათვის, რაც ამავდროულად ზრდის ბიზნეს საზოგადოების ნდობას ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მიმართ.

2017 წელს გამარტივებული შესყიდვების პროცენტული მაჩვენებლები საგრძნობლად შემცირდა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაანალიზა სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელების 2017 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ისევე, როგორც გასულ წლებში (მას შემდეგ რაც კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სააგენტო ითანხმებს გამარტივებულ შესყიდვების ცალკეულ საფუძვლებს) სახეზეა გამარტივებული შესყიდვების საგრძნობი კლება, კერძოდ:

2018 წლის იანვრის მდგომარეობით, გასულიწლის გამარტივებული შესყიდვების ჯამური თანხობრივი ოდენობა, რომელშიც შედის **კანონით დადგენილი გამარტივებული შესყიდვის ყველა საფუძვლით განხორციელებული შესყიდვები, შეადგენს სახელმწიფო შესყიდვების დაახლოებით 24%-ს, რაც 2016 წლის მონაცემთან შედარებით 13%-ით ნაკლებია.**

საგულისხმოა, რომ შემცირება თანხობრივი მაჩვენებლის გარდა შეეხო ასევე რაოდენობრივ მაჩვენებელსაც, სახელდობრ: **2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში თანხმობის გაცემის მიზნით შემოსულია 3271 მომართვა, რაც 2016 წლის მაჩვენებელთან (2016 წელს ეს ციფრი შეადგენდა 3760-ს) შედარებით შემცირებულია 14%-ით.ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემოსული მომართვების 20%-თან მიმართებაში სააგენტომ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.**

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული **SMP** მოდული **იძლევა შესაძლებლობას, რომ ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია კონკრეტულ შესყიდვასთან დაკავშირებით, რასაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მათი საფუძვლიანობის შემთხვევაში იზიარებს და ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.** გასათვალისწინებელია, ისიც, რომ სააგენტოს მიერ გამარტივებული შესყიდვის თაობაზე გამოცემული არცერთი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

სახელმწიფო შესყიდვების **სააგენტო კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მომავალშიც განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს გამარტივებული შესყიდვების შემდგომი შემცირების მიზნით**, რათა ობიექტური გარემოებების გარდა, არ იქნას დაშვებული შესყიდვის ზემოაღნიშნული საფუძველით გამოყენება.

დავების განხილვა 2017



2017 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი იქნა 1492 საჩივარი.

2017 წელსწარმოდგენილი 1492 საჩივრიდან:

დაკმაყოფილდა	199 საჩივარი
არ დაკმაყოფილდა	377 საჩივარი
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	434 საჩივარი
დაუშვებლად მიჩნეული	432 საჩივარი
საჩივარი გაუქმებულია	50 საჩივარი





2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნებიდან ჭარბობს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილება/ქმედების გაუქმების მოთხოვნა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი 1492 საჩივრიდან 432 დაუშვებლად იქნა ცნობილი შემდეგი საფუძვლებით:

გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ ქმედების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა	115
გასულია სატენდერო პირობების გასაჩივრების ვადა	60
დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	45
გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა და ასევე დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	5
არ იქნა გამოსწორებული საბჭოს აპარატის მიერ დადგენილი ხარვეზი	60
მომჩივანმა გაუშვა საჩივრის დაზუსტებისათვის განსაზღვრული ვადა	126
არ არსებობს დავის საგანი	4
საჩივრის შინაარსს არ აქვს შერჩეული საჩივრის შესაბამისი ფორმა	4
სახეზე არ არის შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება	4
საჩივარი ეხება საკითხს, რომელსაც განიხილავს საბჭო იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	5
საჩივარი ეხება საკითხს, რომელზეც არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	1
საჩივარიეხება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ	2
საჩივარი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ	1

2017 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში შემოსული 1492 საჩივრიდან 50 საჩივარი გაუქმებული იქნა. ზემოხსენებულ შემთხვევებში თავად მომჩივანმა განაცხადა უარი მის მიერ შემოტანილ საჩივარზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებულ ყველა საჩივარზე უარიგაცხადებული იქნა წერილობითი ფორმით, საბჭოს აპარატისთვის ცნობილია საჩივარზე უარის თქმის საფუძვლები - 32 შემთხვევაში მომჩივანს აღარ ჰქონდა საჩივრის განხილვის იურიდიული ინტერესი[1], 7 საჩივრის შემთხვევაში მითითებულია, აღარ არსებობდა დავის საგანი, რაც იმას ნიშნავს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ თავად გამოასწორა საჩივარში მითითებული ხარვეზი, 1 საჩივრის შემთხვევაში მითითებულია, რომ ის გაუქმდა საზოგადოებრივი ინტერესის და ტენდერის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 4 საჩივრის გაუქმების მიზეზი გახდა საბჭოში ორი იდენტური შინაარსის მქონე საჩივრის წარმოდგენა, 1 საჩივრის შემთხვევაში მითითებულია, რომ შეცდომით მოხდა სხვა ტენდერის გასაჩივრება,2საჩივარზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის, რომ წარმოდგენილი საჩივრები შინაარსობრივად ხარვეზიანი იყო, 1 საჩივრის შემთხვევაში მითითებულია, რომ საჩივარი უსაფუძვლო იყო (არ დაკმაყოფილდებოდა), ასევე 1 საჩივარზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო (არ არსებობდა შემსყიდველი ორგანიზაციის ოქმი, რომლითაც მან მიიღო სადავო გადაწყვეტილება), 1 საჩივარი გაუქმდა იმ მიზეზით, რომ მომჩივანი სხდომაზე ვერ ახერხებდა დასწრებას, მის დაუსწრებლად კი არ სურდა საჩივრის განხილვის სხდომის ჩატარება.

შესყიდვის საშუალება / პროცედურა	SPA (675)			NAT (751)			DAP (28)			MEP (20)			CNT (18)
	გამარტივებული ელ. ტენდერი (259)	ელექტრონული ტენდერი (416)	ჯამი	გამარტივებული ელ. ტენდერი (176)	ელექტრონული ტენდერი (575)	ჯამი	გამარტივებული ელ. ტენდერი (8)	ელექტრონული ტენდერი (20)	ჯამი	გამარტივებული ელ. ტენდერი (15)	ელექტრონული ტენდერი (5)	ჯამი	
დაკმაყოფილდა	53	52	**105**	29	61	**90**	1	1	**2**	1	1	**2**	0
არ დაკმაყოფილდა	55	111	**166**	39	162	**201**	1	4	**5**	5	0	**5**	0
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	59	132	**191**	43	177	**220**	1	8	**9**	3	2	**5**	9
დაუშვებელი	84	108	**192**	11	15	**26**	4	6	**10**	6	2	**8**	8
გაუქმებული	8	13	**21**	54	160	**214**	1	1	**2**	0	0	**0**	1

[1] 22 (ოცდაორ) შემთხვევაში საჩივრის გაუქმების წერილში არ არის მითითებული საჩივრის გაუქმების კონკრეტული მიზეზები

შავი და თეთრი სიის წარმოება

2017 წელს მიმწოდებლების შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 465 გადაწყვეტილება, გაფრთხილებასთან დაკავშირებით – 259 გადაწყვეტილება, უარი ითქვა 52 მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე, ხოლო განუხილველი დარჩა შემსყიდველი ორგანიზაციების 49 წერილობითი შეტყობინება.

რაც შეეხება თეთრ სიას, რეგისტრირებულთა რაოდენობამ შეადგინა 72 მიმწოდებელი, რეგისტრაცია გაუგრძელდა 44-ს, რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 6 მიმწოდებელს, ხოლო განუხილველი დარჩა 48 მომართვა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ევროკავშირთან საჯარო შესყიდვების სფეროში ეტაპობრივი დაახლოების სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა წარმატებით დაასრულა

სააგენტომ ევროკავშირთან, **DCFTA-ით გათვალისწინებული საჯარო შესყიდვების სფეროში ეტაპობრივი დაახლოების სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა წარმატებით დაასრულა.**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა **ევროკავშირთან საჯარო შესყიდვების სფეროში ეტაპობრივი დაახლოების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა**, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 განკარგულებით.

სამოქმედო გეგმა შედგება ხუთი ფაზისგან და მოიცავს 2015-2022 წლებს. 2017 წლისბოლოს, პირველი ფაზის წარმატებით დასრულების შემდეგ, გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საჯარო შესყიდვების ბაზრის ეტაპობრივი გახსნა. აღნიშნული გარემოება უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ექსპორტის ხელშეწყობისათვის.

დაახლოების პირველი ფაზის შემდეგ, გათვალისწინებულია საჯარო შესყიდვებში ევროკავშირის ბაზრის გახსნა ცენტრალური მთავრობების მიერ განხორციელებულ შესყიდვებში, ხოლო მომდევნო ფაზებში უკვე ეტაპობრივად მოხდება ბაზრის გახსნა რეგიონული და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ შესყიდვებში.

ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ, რომელიც 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რამოდენიმეჯერ ეწვია, მომზადებულ დასკვნებში **ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასა** ვალდებულებების ფარგლებში სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულება, რაც საფუძვლად დაედო პირველი ფაზის წარმატებით დასრულებას.

http://www.dcfta.gov.ge

DCFTA

2017 წელს თბილისში მსოფლიო მასშტაბის ორი ფორუმი ჩატარდა

2017 წელს პირველად საქართველოში, საჯარო შესყიდვების თემაზე, მსოფლიო მასშტაბის ორი ფორუმი გაიმართა. ფორუმი სახელწოდებით "რეგიონალური ფორუმი სამთავრობო შესყიდვებზე" თბილისში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ 19-22 სექტემბერს ჩაატარა. ფორუმის თანაორგანიზატორი **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი** იყო. ფორუმის ფარგლებში, საქართველოს **მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებიდან, 50 კაციანი დელეგაცია ეწვია**. ფორუმს ესწრებოდნენ მსოფლიოში ავტორიტეტული ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, რომლებიც, როგორც სამთავრობო შესყიდვების ეფექტიანობაზე, ასევე ამ სფეროს მეტ ტრანსპარენტულობასა და მის მონიტორინგზე მუშაობენ.

2-4 ოქტომბერს კი თბილისში **„აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის საერთაშორისო ფორუმი - საჯარო შესყიდვების თანამედროვე ელექტრონული სისტემები"** ჩატარდა. ჩვენს დედაქალაქს, ძირითადად **აზიის რეგიონის ქვეყნებიდან, 100-კაციანი დელეგაცია ეწვია**. ფორუმის მთავარი ორგანიზატორი იყო **აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს სახელმწიფო**

შესყიდვების სააგენტო, თანამონაწილე - მსოფლიო ბანკი. ფორუმზე ძირითადი განსახილველი თემატიკა მიეძღვნა ელექტრონული საჯარო და სამთავრობო შესყიდვების მოწინავე პრაქტიკას, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, მოდერნიზებისა და სრულყოფის საკითხებს.

ამ ფორუმის ფარგლებში **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და კორეის საჯარო შესყიდვების უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი** გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან რაზმაძემ და კორეის საჯარო შესყიდვების უწყების ხელმძღვანელმა ჩუნსუპ პარკიმ. მემორანდუმი გულისხმობს ქვეყნების შესაბამის უწყებებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას, სამომავლო პარტნიორობას და გამოცდილების გაზიარებას.

ეთიკის კოდექსის საზეიმო მიღება



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2017 წელს შეიმუშავა და სამოქმედოდ შემოიღო **სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი**, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირებისთვის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით **სამოდელო ქცევის წესების დანერგვას**. კოდექსი ეფუძნება **საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას** და მიმართულია იმისკენ, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებმა გაიაზრონ ის მაღალი პასუხისმგებლობა, რაც მათ საქმიანობას უკავშირდება. ამასთან, მათთვის დაკისრებული მაღალი მისიის პირნათლად შესრულების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებით **ხელი შეუწყონ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნების ეფექტიან რეალიზებას, მათშორის, სახსრების რაციონალურ ხარჯვას, ჯანსაღ კონკურენციასა და გამჭვირვალობას**.

ამავდროულად, კოდექსს ლაიტმოტივად გასდევს შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომელთა მიერ მათი უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულების ვალდებულება, რათა მიღებული გადაწყვეტილებები იყოს სამართლიანი და ისინი დაეფუძნოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ფუძემდებლურ პრინციპს. კოდექსი ხელს

შეუწყობს **სახელმწიფო შესყიდვების პროცესში დაცულ იქნას პროფესიულ-ეთიკური სტანდარტები**, რაც თავის მხრივ, პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს დარგში დასაქმებულ პირთა **პროფესიონალიზმსა და პირადი პასუხისმგებლობის** როლის გაძლიერებაზე.

ეთიკური ქცევის პროფესიული სტანდარტები უნივერსალურია და აერთიანებს **პატიოსნებისა და ნდობის, კანონმორჩილების, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობის, გულისხმიერებისა და წინდახედულობის, გამჭვირვალობისა და ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პროპორციულობის და პროფესიონალიზმის პრინციპებს**.

ეთიკის კოდექსი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების 2020 (HICD 2020) პროექტის ხელშეწყობით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გამოთქვამს იმედს, რომ ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის მატარებელი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მიუხედავად კოდექსის არანორმატიული ხასიათისა, ნათლად გააცნობიერებენ დოკუმენტის მნიშვნელობას სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ეფექტიანად, ტრანსპარენტულად და სამართლიანად წარმართვის საქმეში და თითოეულ მათ ქმედებას განახორციელებენ კოდექსში დამკვიდრებულ დებულებათა დაცვის სულისკვეთებით.

ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებაში განხორციელებული სიახლეები

სააგენტო დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიციის მქონე პერსონალით, მათ შორის **50%-ზე მეტი ფლობს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს**, ხოლო **6 თანამშრომელს აქვს დოქტორის ხარისხი**. სააგენტოს შემადგენლობაშია **4 დეპარტამენტი, 4 სამსახური, 7 სამმართველოდა 1 სასწავლო ცენტრი**.



2017

წელს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი 3 ვაკანსიაზე; სულ განაცხადი შემოიტანა 219-მა კანდიდატმა. შედეგად,მიღებული იქნა 3 ახალი თანამშრომელი.

GIZ-თან თანამშრომლობის შედეგად, რომლის მიზანია გერმანიაში განათლებამიღებული საქართველოს მოქალაქეების საქართველოში დაბრუნება და დასაქმება, სააგენტოში მუშაობს 2 მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ ანალიტიკურ საქმიანობას.



სააგენტოს თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით, მოხდა არსებული კადრებისთვის ტრენინგების საჭიროებების განსაზღვრა. ტრენინგების განხორციელების დადაფინანსების მიზნით, გრძელდება აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 2017 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კანონის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების თანამდებობების/პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის წესის შესახებ“საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის №7 დადგენილების შესაბამისად, სააგენტოში შეიქმნა კომისია, რომელმაც განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვა.

დამატებით, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობის შედეგად, დეპარტამენტის უფროსებთან ერთად მოხდა ყველა თანამდებობაზე სამუშაოს აღწერილობის შედგენა.

მთლიანად სააგენტოში:	ქალი - 47%	მამაკაცი - 53%
ხელმძღვანელ თანამდებობაზე:	ქალი - 32%	მამაკაცი - 68%
შტატში მომუშავე:	ქალი - 49%	მამაკაცი - 51%
ხელშეკრულებით მომუშავე:	ქალი - 33%	მამაკაცი - 67%
სტაჟიორი:	ქალი - 75%	მამაკაცი - 25%

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში პროცენტული გადანაწილება გენდერული ბალანსის მიხედვით:

2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გაიარა 1002 მსმენელი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებული წარმომადგენლებისათვის ტრენინგები 2017 წლის განმავლობაშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა.

ხორციელდებოდა ასევე ცალკეული სპეცპროექტებიც. ასე მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრისა და „ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (CEGSTAR)“, ასევე UNDP-ის პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში “თანაორგანიზებით შედეგიანად დასრულდა და ჯამში გადამზადდა ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული 14 წარმომადგენელი. ტრენინგის მთავარი თემა იყო: „საკანონმდებლო ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში - თანამედროვე მიდგომები და აქტუალური საკითხები“. მიღებული მაღალი შედეგების გათვალისწინებით, მუშაობა აღნიშნული მიმართულებით მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

2017 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით, ჩატარდა ორი საკონსულტაციო შეხვედრა რეგიონებში დასაქმებულ სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტებთან, რომელიც ემსახურებოდა სამომავლოდ სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ შესყიდვებს.

2017 წელს, ძირითადი სასერტიფიკატო „სახელმწიფო შესყიდვების კურსის“ ფარგლებში, მსმენელები დაიყო **15 ნაკადად, სულ მომ-**

ზადდა 964 სერტიფიცირებული მსმენელი. ასევე, მოეწყო სამი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა შესყიდვების სპეციალისტებისათვის, **ჯამში დატრენინგდა 1002 მსმენელი**.

ტრენინგ-კურსებზე წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქის მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების შესყიდვების სპეციალისტები.

ძირითად ტრენინგებში წარმოდგენილი სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას გამოიკვეთა შემდეგი სტატისტიკა: მსმენელებს შორის წარმოდგენილი იყო **610 ქალი და 354 მამაკაცი**.

რაც შეეხება მსმენელთა ასაკობრივ კატეგორიებს, ტრენინგში მონაწილეობა მიიღო:

- 35 წლამდე ასაკის 501 მსმენელმა;
- 50 წლამდე ასაკის 388 მსმენელმა;
- 65 წლამდე ასაკის 75 მსმენელმა.

2014 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში **გადამზადებული და სერტიფიცირებულია 2494 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი. მათ შორის: 1175 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, 1264 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა** და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ების, ააიპ-ების და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი, ასევე დამატებით სპეცკურსები დაასრულეს **55 ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელმა**. ამ რიცხვში არ არის აღნიშნული სემინარებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო-შემეცნებით შეხვედრებზე მოწვეული მსმენელები, **სულ 358 მსმენელი, რაც ჯამში 2852 მსმენელს შეადგენს**.

OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში სტატისტიკური მონაცემების შესახებ ახალი ვებსაიტი stats.spa.ge გაეშვა

Open Government Partnership

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, **OGP-ის ინიციატივების ფარგლებში, საჯარო შესყიდვების თაობაზე ოპერატიული სტატისტიკური მონაცემების შემცველი ახალი ვებ-რესურსი stats.spa.ge** დაამზადა. აღნიშნული საიტი მოიცავს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითად მაჩვენებელს. საიტზე შეუფერხებლად და დროულად შეგიძლიათ იხილოთ კვარტალური **მონაცემები გამოცხადებული ტენდერების რაოდენობაზე, გამოცხადებული ტენდერების ღირებულებაზე, პრეტენდენტთა საშუალო რაოდენობაზე, სისტემაში მითითებული მიმწოდებლების რაოდენობაზე, ასევე სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველების რაოდენობასა და გამარტივებული შესყიდვის პროცედურით შემოსული განცხადებების რაოდენობის თაობაზე**. საიტის დახმარებით გაეცნობით, რომელ შესყიდვის კატეგორიებშია პრეტენდენტების ყველაზე მეტი ან ნაკლები რაოდენობა, ასევე იხილავთ დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობას სტატუსების მიხედვით.

საიტი საინტერესო იქნება **ბიზნეს და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, აკადემიური წრეების მკვლევარებისათვის და მედიისთვის**, ასევე ყველაიმპირისთვის, რომლებსაც აინტერესებთ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე უტყუარი და ოპერატიულად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები.

დამატებითი ინფორმაციისთვის გადადით ბმულზე:

http://stats.spa.ge

საჯარო ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაციული, OCDS-ის სტანდარტის, ახალი საიტი opendata.spa.ge



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მსოფლიო ბანკისა და DFID-ის ერთობლივი „საჯარო შესყიდვებში ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების პროექტის“ მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს **Open Contracting Data Standard (OCDS)** დანერგვისათვის, რომლის ფარგლებშიც მოხდა აგრეგირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და დაინტერესებული პირთათვის მიწოდება. აღსანიშნავია, რომ OCDS გულისხმობს ღია მონაცემთა პუბლიკაციის სტანდარტის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო კონტრაქტის ყველა ეტაპზე (დაგეგმარებიდან განხორციელებამდე), სტრუქტურიზებული ინფორმაციის გამოქვეყნებას ე.წ. **Machine Readable Format**-ში. ამჟამად ახალ სპეციალურ ვებ-საიტზე **opendata.spa.ge, გამოქვეყნებულია 2014-2017 წლების მონაცემები სპეციალურ JSON - ფორმატში** როგორც აგრეგირებული სახით, ასევე ცალკეული შესყიდვების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისთვის გადადით გვერდზე:

http://opendata.spa.ge

დაინერგა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი პროცედურა – ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით

eProcurement

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №12-ით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი წესის შესაბამისად განხორციელდა სისტემური ცვლილებები - გაუქმდა გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერების დაყოფა და დარჩა მხოლოდ ელექტრონული ტენდერი; გაიმიჯნა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს მონეტარული ზღვარი; დადგინდა ტენდერების ჩატარების ახალი, მონეტარული ზღვრების შესაბამისი ვადები.

საჯარო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირველი ფაზის შესაბამისად, დაინერგა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი (TEP)– ელექტრონული ტენდერის პროცედურა პრეკვალიფიკაციით (Restricted Procedure).

საქართველოში ამჟამად მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები

1 ელექტრონული ტენდერი

სისტემის კოდი

SPA

ამოქმედების თარიღი

2010 წლის დეკემბრიდან

ძირითადი უპირატესობები

- ღია ელექტრონული პროცედურა, რომელიც გამოიყენება ერთიანი ელექტრონული სისტემის eProcurement დანერგვიდან დღემდე.
- მუშაობს ეგრედ წოდებული 3-ეტაპიანი რევერსული აუქციონის (Reverse e-Auction) პრინციპით.
- შემსყიდველი ორგანიზაცია აყალიბებს მისთვის სასურველ ტექნიკურ და ხარისხობრივ მოთხოვნებს, ასევე სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და, პირველ რიგში, განიხილავს ყველაზე დაბალი ფასის მქონე შეთავაზებას და, მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, აფორმებს ხელშეკრულებას.

შესყიდვის საშუალება	ობიექტი	მონეტარული ზღვარი	მინიმალური ვადა
ელექტრონული ტენდერი	საქონელი და მომსახურება	5,000-დან 150,000 ლარამდე	7 (5+2) კალენდარული დღე
		150,000 ლარი და მეტი	10 (7+3) კალენდარული დღე
	სამშენებლო სამუშაოები	5,000-დან 300,000 ლარამდე	10 (7+3) კალენდარული დღე
		300,000 ლარი და მეტი	20 (15+5) კალენდარული დღე

ელექტრონული ვაჭრობა დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე

2

სისტემის კოდი

NAT

ამოქმედების თარიღი

2016 წლის ივლისიდან

ძირითადი უპირატესობები

ღია ელეტქრონული ტენდერის ალტერნატიული სახეობა, რომელიც მუშაობს როგორც ეგრედ წოდებული „დალუქული კონვერტის პრინციპი“. ყველა პროცედურა იგივეა როგორც ელექტრონულ რევერსულ აუქციონში (SPA ტენდერი), თუმცა 3 დამატებითი რაუნდის მაგივრად წინადადების წარდგენა ეკონომიკური ოპერატორის მიერ ხდება მხოლოდ ერთხელ. საუკეთესო შეთავაზების გარდა ყველა წინადადება რჩება „დალუქული“ (დროებით ხელმიუწვდომელი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის) იქამდე სანამ ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი (გარდა სტატუსისა „ტენდერი შეწყვეტილია“); მერე კი შეთავაზებული ფასები იხსნება.

მინიმუმამდე დაჰყავს არაკეთილსინდისიერი ქმედების შესაძლებლობა მიმწოდებლებს შორის (ე.წ. “Bid rigging” - ეკონომიკურ ოპერატორებს შორის კორუფციული გარიგება) და ასევე ამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების ალბათობას.

ეს პროცედურა შეიქმნა და დაინერგა სააგენტოს მიერ ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით.

ელექტრონული ტენდერის განსხვავებული წესით ჩატარება სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის მიზნით

3

სისტემის კოდი

DAP

ამოქმედების თარიღი

2016 წლის დეკემბრიდან

ძირითადი უპირატესობები

პროცედურა მიმდინარეობს ე.წ. „პრეკვალიფიკაციის“ გზით. პრეტენდენტები ერთობლივად წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს, საკვალიფიკაციო დოკუმენტებს და ხარჯთაღრიცხვას. მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია შეაფასებს ყველა პრეტენდენტს, სატენდერო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდეტს, დადგენილი წესით, მოიწვევს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით, ზოგიერთ შემთხვევაში, გამართლებულია იმ პრეტენდენტების წინასწარ და ერთბაშად გაფილტვრა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს. ეს საშუალებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას შეამციროს ტენდერის მიმდინარეობის ჯამური ვადები, ასევე გამორიცხოს არამოტივირებული გაჭიანურების და „გაუთავებელი“ გასაჩივრების რისკები.

4

ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი

სისტემის კოდი

MEP

ამოქმედების თარიღი

2016 წლის აგვისტოდან

ძირითადი უპირატესობები

საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ფასზე და სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა ხდება „ფასი-ხარისხის“ თანაფარდობით, რომელსაც ავტომატურად ითვლის სისტემაში ჩაშენებული უნიკალური ალგორითმი (ე.წ. ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი მეთოდი - “MEAT” Most Economically Advantageous Tender).

აღნიშნული შესყიდვის საშუალების გამოყენებისას შემსყიდველს საშუალება ეძლება გაითვალისწინოს პროდუქტის ჯამური ღირებულება მისი სასიცოცხლო ციკლის ხარჯების (life cycle costs) გათვალისწინებით.

ეს პროცედურა სააგენტოს მიერ რეკომენდირებულია „რთული“ შესყიდვის ობიექტების ან კომპლექსური პროექტების განხორციელების დროს.

ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით

5

სისტემის კოდი

TEP

ამოქმედების თარიღი

2017 წლის სექტემბრიდან

ძირითადი უპირატესობები

მას შემდეგ რაც პრეტენდენტები წარმოადგენენ საატენდერო წინადადებებს და სრულ საკვალიფიკაციო დოკუმენტაციას, შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს მიმწოდებლების დოკუმენტებს. მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე იმართება რევერსული აუქციონი მხოლოდ ამ ეტაპზე გადასულ ეკონომიკურ ოპერატორებს შორის.

მომდევნო ეტაპზე გამარჯვებულის გამოვლენა ხდება უკვე ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით.

აღნიშნული შესყიდვის პროცედურა აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალებას, რომ პირველ ეტაპზე მოახდინოს არაკვალიფიციური პრეტენდეტების გაფილტვრა და ამასთან ერთად მეორე ეტაპზე ხელშეკრულება გააფორმოს უკვე შერჩეულ და კვალიფიციურ, თან იმავდროულად, ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებელთან.

ეს პროცედურა შეიქმნა და დაინერგა სააგენტოს მიერ ევროკავშირთან ჩთ ვალდებულებების ფარგლებში (ევროდირექტივების მიხედვით - ე.წ. ღესტრიცტედ როცედურე); ევროდირექტივის მიხედვით, შემოღებულია მინიმალური ვადა - 25 დღე; მინიმალური პრეტენდენტების რაოდენობა - 5.

6 კონკურსი

სისტემის კოდი

CNT

ამოქმედების თარიღი

2015 წლის ივლისიდან

ძირითადი უპირატესობები

დიზაინთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების პროექტების შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, როგორიცაა არქიტექტურული, ინჟინრული დაგეგმარების, დიზაინერული ან სხვა სახის პროექტები.

კონკურსი უნიკალურ საშუალებას იძლება შეფასება მოხდეს თვლადი და არათვლადი კრიტერიუმების გათვალისწინებით (მაგ. პროექტის ვიზუალური ნაწილი, ფერთა გამა, სხვა სუბიექტურად შეფასებადი კრიტერიუმები)

კონკურსის შემთხვევაში გამოიყენება განსხვავებული ვადები: სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადაა 10 დღე, ხოლო წინადადების მიღების ვადა - 5 დღე.

eProcurement-სისტემაში ჩაშენებული სხვა შესყიდვის საშუალებები: 7

გამარტივებული შესყიდვა (პირდაპირი შესყიდვა)	CMR	▪ შესყიდვა ერთგვაროვან საქონელზე 5000 ლარამდე ▪ კანონით ნებადართულ განსაკუთრებულ შემთხვევებში
კონსოლიდირებული ტენდერი	CON	ზოგიერთი ერთგვაროვანი პროდუქტის შესყიდვა აგრეგირებული მოთხოვნის საფუძველზე: საწვავი, კომპიუტერები, 4 ფორმატის ქაღალდი, მობილური სატელეფონო კომუნიკაციის სერვისი, საბურავები, პრინტერები, კარტრიჯები, სატელემაუწყებლო სარეკლამო მომსახურება, უწყვეტი კვების წყაროები (UPS)
შესყიდვის ელექტრონული პროცედურა	GEO	▪ საქონლის ან მომსახურების შესყიდვა მტავრობის მიერ დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს ▪ გამოიყენება ასევე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას; რეგლამენტირებულია მთავრობის სპეციალური დადგენილებით
შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით	DEP	2014 წელს საგანგებოდ შექმნილი შესყიდვის ახალი პროცედურა დონორის სახსრებით (IFIs: მსოფლიო ბანკი - WB, აზიის განვითარების ბანკი - ADB, ევროპის საინვესტიციო ბანკი - EIB, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო - MCA Georgia, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო - JICA, UNHCR, სხვა)
საგრანტო კონკურსი	GRA	შესყიდვის პროცედურა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო უწყებების/ ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ჩასატარებლად

eProcurement

სააგენტოს ხელმძღვანელობამ 4 „დიდი“ რეგიონული შეხვედრა ჩაატარა

2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობამ **ოთხი გაფართოებული რეგიონული შეხვედრა ქუთაისში, ბორჯომში, ზუგდიდსა და თელავში** გამართა. შეხვედრები ჩატარდა საჯარო შესყიდვებით დაინტერესებულ **მცირე და საშუალო ბიზნესის, ადგილობრივი შემსყიდველი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების** წარმომადგენლებთან.

ღონისძიებები გაიმართა ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტის „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ მხარდაჭერით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს. შეხვედრები მიზნად ისახავდა დამსწრე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები სშესახებ. კერძოდ, **მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ორი ახალი კანონი, რომლებმაც საგრძნობლად შეცვალეს საჯარო სახსრებით განსახორციელებელი შესყიდვების გარემო. შეცვლილია მრავალი რეგულაცია, მიღებულია ახალი პროცედურები და**

წესები, დამატებით შემუშავებულია რეკომენდაციები, გამოცემულია უამრავი ახალი მეთოდურ-პრაქტიკული მითითება.

მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ქართულ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (**eProcurement**) **დაინერგა ახალი შესყიდვის პროცედურები და ინოვაციური ელექტრონული სერვისები.** სააგენტოს პასუხისმგებელმა პირებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ზემოსხენებული მიმართულებებით მიღწეული **შედეგები, უახლოეს მომავალში დაგეგმილი რეფორმები, ახალი საკანონმდებლო ნორმები და სააგენტოს მიერ შემოთავაზებული დამატებითი სერვისები.**

ცნობისათვის: პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ჩთ საქართველოში“ მეწარმეებს კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის პირობებში ჩამოყალიბებულ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირებაში ეხმარება. პროექტი „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ (**EU4Business**) ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული ინიციატივის მიზანია დაეხმაროს მცირე და საშუალო მეწარმეებს ისარგებლონ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, კერძოდ, ის ხელს უწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, მეწარმეების ცოდნისა და უნარების ამაღლებას და ფინანსებთან ხელმისაწვდომობას.

EU4Business

EU4Business ინიციატივის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე:

www.eu4business.eu

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სააგენტოში მოქმედებს სისტემის მომხმარებელთა მომსახურების ცენტრი. სამუშაო დღეებსა და საათებში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

(032) 2 48 48 22

და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მიიღოთ კომპეტენტური პასუხები და კონსულტაცია.



თბილისი, 0113,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა
(ისანი - ყოფილი ბაღდადის
ქუჩა), №8.